შინაური საქმეები

№ 10.

ქვირა, 7 მარტი, 1910 წ.

ადრესი: ქუთაისი „შინაური საქმეების“ რედაქცია

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: გურია სამეგრელოს ეპარქიის საძღვდელოების რწმუნებულთა კრება. პირველი და მეორე მოგზაურობა ღვთის მიერ განსვენებულის ეპისკოპოზისა გაბრიელისა.—მღ. ეფ. ინასარიძისა; ბატონ ბიxითელის მკირე შენიშვნის გამო.—დავით ეპისკოპოზისა; კვეთილი მოძღვარი.—ნაცვლი შვილისა; მოითმინეთ კიდევ.—ვანო ოძიხელის; პიათურა.—დეკ. ი. წერეთელი ქართველებს ქართველებისაკენ თვალში არ ჰკონიათ ფასი.—რამპოლასი; კრწანისის ომი.—ივერიელისა წერილი რედაქციის.—ვ. წერეთელისა.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ“ წლიურ ხელმომწერლებს დაურიგებს **ᲞᲠᲔᲛᲘᲐᲗ** შაფფის თხუზულებას **„ᲘᲔᲡᲝ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ“ ᲡᲐᲥᲕᲘᲠᲕᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲘᲡᲐ.**

ᲧᲝᲕᲔᲚᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚ ᲒᲐᲖᲔᲗ

„ᲨᲘᲜᲐᲣᲠ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲖᲔ“

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (სებურთალო—კაზაკოვის შესახვევში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.

წლიური ფასი 4 მან. ნახ წლით 2 მ. ᲓᲐ 50 კ.

გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

შემოწირულები.

„შინაური საქმეების“ რედაქციამ ამ დღეებში მიიღო იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობის სასარგებლოდ ყოვლად სამღვდელო ლეონიდესაგან 60 მანათი; და მღვდლის გაიოზ ძამისტარაშვილისაგან 3 მაენთი. ეს ფული რედაქციამ გადასცა დანიშნულებისამებრ.

ᲒᲣᲠᲘᲐ ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲦᲕᲓᲔᲚᲝᲔᲑᲘᲡ ᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲐ.

22 თებერვალს შესდგა აღნიშნულ ეპარქიის სამღვდელოების კრება. კრების განსახილველ საგნებს, გარდა ჩვეულებრივისა შეადგენდა სხვა და სხვა საეურადღებო წინადადება, მაგ. საეპარქიო საქალაქო სასწავლებლის დაარსება, სადვთისმეტყველო კურსების გახსნა, სამღვდელოების ზნეობა-გონებრივ განვითარება და პატივისა და გავლენის აღდგენა ხალხში, იმერეთის სარწმუნოებრივ-განმანათლებელ ძმობის დახმარება და სხვ. კრებაზე სრული წესიერება და გაგონება იყო. არავითარი აღელვება, ერთმანეთის წინ წასწრობა და ქიშპობა არ ეფიდა ამ კრებაზე. მამ. თავმჯდომარეც (დეკ. კალანდარიშვილი) სწორეთ თავის ადგილზე იყო. კრება გაიხსნა ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოზის ლეონიდეს შემდეგი საგულისხმიერო სიტყვით:

„მოგესალმებით ქრისტიანული სიყვარულით, ძვირფასო მამებო, და ვთხოვ ზეციერ მამას, რომ ამ თქვენს შეერთებას და თავის მოყრას შედეგად მოჰყოლოდეს დვთის სახელის დიდება, თქვენი ბედნიერება და თქვენი სამწესოების სულიერი წარმატება. მღვდელთა კრება ყოველთვის სასურველი და სასაამოვნოა მღვდელთმთავრისთვის; ამ გვარი კრებების წყალობით მღვდელთმთავარს ეძლევა საშუალება გაითვალისწინოს სარწმუნოების მდგომარეობა მის ეპარქიაში, გაიგოს უკვის, თუ დაქვეითებულია სარწმუნოების საქმე ერში, რა უწყობს ხელს სამწესოების ქრისტიანული მოძღვრების შეგნება გავრცელებას რა აფერხებს მას, რა არის მიზეზი რომ სულიერი სიმშვიდით და წყურვილით შეწუხებული ერი არ ეტანება მას, ვინც სწორეთ და უტყუარათ „ეურია ცხოვრებისა,“ ვინც დიდს და

პატარას ხმა მაღლა შესძახის, „უკეთუვისმეს სწეურდეს, მოვედინ ჩემდა და ჭსვემდინ,“ და სხდიან, მდვდლები მუდამ დღე ხალხში ტრიალებენ, განუშორებელი მოწმეები არიან თავიანთი სულიერი შვილების უოფა-ქცევისა, მათი ზნეობრივი სიავკარგისა, მათი სარწმუნოებრივი სიკეთისა თუ სიდუხჭირისა, წმიდა აღსარების დროს მდვდლებს ხალხი ახედებს თავის გულის სიღრმეში და განა რომ მათ მოეთხოვებოთ ფართო გამოტოიღება, განა რომ ისინი ჩახედულები უნდა იყვნენ ერის სარწმუნოებრივ ცხოვრებაში, განა რომ მათ აუცილებლად გული უნდა უოქვამდეს სამწესოს სული—ერად განათლებისა, განვითარებისა და წინსვლისათვის!

ეპარქიის სხვა და სხვა კუთხეებიდან ჩამოსულ მდვდლებს თან უნდა მოჰქონდეთ ყველაზე პირველად ეს ცოდნა-შეგნება თავიანთი მრევლების სარწმუნოებრივი ვითარებისა, თვითეულმა მდვდელმა კრებაზე, უნდა დაუხატოს თავის თანა მოძმეებს იმდენად ცხადი, ნამდვილი და პირდაპირ ცხოვრებიდან აღებული სურათი საკუთარი მრევლის სულიერი ვინაობისა, რომ უველასთვის მისახველი და გასაგები გახდეს თვითეული მრევლის სარწმუნოებრივი ცხოვრების მაჯის ცემა. ყველამ შეუცდომლად წარმოიდგინოს ამა თუ იმ მრევლის ზნეობრივი სისადე ანუ სნეულება, ყველამ ცოცხალ ფერადებში ამოიკითხოს ამა თუ იმ მრევლის ქრისტიანობა ან სარწმუნოებრივი დაცემა, სარწმუნოებრივი უვიცობა და გათახსირება. მხოლოდ ეს პირობაა, რომ აცხოველებს მდვდელთა კრებას, ეს პირობაა, რომ აძლევს მდვდლებს კრების შრომას, აზრსა და დირსებას, ასეთი პირობის შედეგია, რომ კრებისაგან გამოტანილი დასკვნები მშვენიერ შუშად ხვდება მდვდელმთავრის გულის კერას და აგურგურებს მაში სარწმუნოებრივი მხურვალების მძლავრ ცეცხლს, რომლის სიცხოველით თბება სიამოგნებს და ხარობს ყველაზე პირველად სამდვდელოება სწორეთ ისე, როგორც სიამოგნობს და ხარობს ხოლმე ზამთარში ტეიდამ შუის ჩამომტანელი ბუხარში დონეული ცეცხლის კაპადებით.

ვი, რომ ჩვენი გონება გაკვნწლილია მცირე მორწმუნეობის ისარით, ვი რომ ჩვენი გული მთლათ წახვეულია საამწეოო ზრუნვის ნაცარმტვერში, თორემ დღევანდელი ჩვენი კრება და სხვები მისი მსგავსები, უნდა შეადგენდნენ იმ დიდებული წამის გამეორებას, რომელსაც ქრისტესგან სასქადაგებლად წარგზავნილი სამოცდა ათი მოწაფე უკან დაბრუნდენ გამარჯვებულნი და სიხარულით აღუარეს თავის მოძღვარს: „უფალო ეშმაკნიცა დაგვემორჩილებიან სახელითა შენითა,“ ქრისტემ უბრძანა მათ: „არა, უკეთუ ხოლო სულებზე გამარჯვება კი ნუ გიხარიან, გიხაროდეთ ის, რომ თქვენი სახელები დაიწერა ცათა შინა. მდვდლებთა კრებებს დიდი ადგილი უჭირავთ ეკლესიის ცხოვრებაში, მდვდლებთა კრებები თვალსაჩინო ძარღვია ეკლესიური ცხოვრების სიცოცხლისა და დეეგრძელობისა, მდვდელთა კრებები სულია მდვდელთ მთავრის და მდვდელთა შორის ჯეროვანი და სათანადო ურთიერთობისა, მდვდელთა კრებები ერთათ ერთი ხიდია სამდვდელოებისა და ერის ერთი მეორესთან დაახლოვებისა, ერთი მეორის გაცნობისა და შეთვისებისა.

ამიტომაა, რომ სრული აღტაცებით ვეგებები ხოლმე ამ კრებებს.

ეს მეორეთაა, რომ ვესწრები თქვენ კრებას. თქვენმა პირველმა კრებამ შარშან დიდად გამახარა და დიდად გამამხნევა. ის გონიერი, სიმპატიური და ეოველთვრად დროს შესაფერი დადგენილებები, რომლებიც გამოიტანა წარსულ წელში თქვენმა კრებამ, თავს მოაწონებს და სახელს გუკეთებს თქვენზე უკეთეს პირობებში მეოთ სამდვდელოებასაც. შემოდება საძმო სასამართლოებისა ერთი მეორის გასასწორებლად, სავალდებულო გამოწერა ქართული საეკლესიო ორგანოსი. გამოკვლევა შტატებისა სოფლებში და სხვა ამ გვარები სწორეთ კასახარელი დადგენილებები იყო და მიხარდა კიდეც. მაგრამ ნაადრევი გამოდგა ეს ჩემი სიხარული: დადგენილებებს არ მიეცათ განხორციელება, არავის არ მოჰკონებია მათი ცხოვრებაში გატარება და ეს დადგენილებები დადგენილებადვე დარჩნენ ცივსა და სიცოცხლე მოკლებულ ქაღალდის ფურცლებზე. ისე გამოდის, თითქოს დამაზი დადგენილებები მიიდეთ მარტოოდენ დემონსტრაციის მოსახდენად, გულის გასაროობათ, ერთი მეორის მოსახიბლავად, ეორი მეორის თვალების ასახვევად და შესაცდენად. არა, პატიოსნონო მამანო, ნურაფერ ადგილ ნუ მივცემთ ჩვენს ცხოვრება-მოქმედებაში პირფერობას, ერთი მეორის მოტეუება-გაცრეცვას, მოჩვენება-თვალთახვევას, თორემ სრულებით დაგვეკარგება

ნიადაგი მოქმედებისა დაგვეკარგება ძალა მარიდისა და მით შევიქნებით მხოლოდ უგულასაგან ფეხით სათელ უკარგისობად, ერთხელ და სამუდამოდ მივიღოდ გადუვალ წესად, რომ ჩვენი ჭო ჭოდ რჩებოდეს და არა არად,

გთხოვთ და გავალებთ ისევ გაიხსენოთ წარსული კრების დადგენილებები და უეჭველად განახორციელოთ, უეჭველად გაატარეთ ისინი თქვენს ცხოვრებაში, ნამდვილად დანახოთ ყველას, რომ კრებებზე მოდიხართ სერიოზული საქმიანობისთვის, და არა მთავრობის უსიამოვნო მოთხოვნილების ფორმალიურად შესრულებისთვის.

საკუთრად დღევანდელ თქვენს კრებას ძალიან ბევრი და სერიოზული კითხვები აქვს გასარჩევი.

უმთავრეს საგნად თქვენის მსჯელობისა ეოველსაგე ეჭვს გარეშე უნდა იქნას დაარსება სამდვილო და სადიაკონო ბერთათვის შესაფერი სასწავლებლისა. სასულიერო სემინარიაში კურს დამთავრებულებმა დიდი ხანია უარი სთქვეს მოგვალობაზე, დღესაც ისევ მტკიცე უარზე არიან და როდის შეიცვლება ჩვენი ცხოვრება ისე, რომ სემინარიელებმა კვალად მოიწადინონ მოგვალობა, ამისი გამოცნობა არავის შეგვიძლია ცხოვრება თავისას ითხოვს, თავისუფლებიან მოგვალეების ადაგები და რაკი შესაფერი კანდიდატები არ მოგვეპოვება, იძულებული ვხდებით ვაკურთხოთ ის ვინც პირველად ითხოვს ადგს. მართალია, დავალებული გვაქვს გამოვცადოთ ცოდნაში მოგვალობის მაძიებლები, მაგრამ გამოცდას ხომ უეჭველად წინ უნდა უძღოდეს სწავლება, გამოცდა ხომ უფრო უკვე არსებული სასწავლებლის მაჯის გაშინჯვა უნდა იყოს და ჩვენ კი სწორეთ ეს სასწავლებელი არა გვაქვს. ჩვენში კი მოგვალობის მაძიებლები ემზადებიან სხვა და სხვა პირებთან, სხვა და სხვა პროგრამით, სხვა და სხვა მეთოდებით, სხვა და სხვა დროს განმამავლობაში, და სხვა და სხვა საფასით. თუ საქმის მიმდინარეობა არ შეიცვალეთ, სამოგვალოება ხალხის თვალში დაჭარგავს ეოველ გვარ მნიშვნელობას და ღირებულობას.

ამ საკითხზე არა ნაკლები საზრუნველია ჩვენის მხრით ის საკითხი მოვალეა, რომ როგორც თქვენ თითონ მოწმობთ საატესტატო და წერით ჩვენი ეკლესიები ეოველგან დაცალიერდა, ჩვენს ეკლესიებს ხალხი ადარ ეკარება, ჩვენს მოგვალმოქმედებას გავალეს ადარ აქვს მრევლზე.

რა თქმა უნდა, ესეთი გულ გრილობა ხალხისა ეკლესიისადმი გამოწვეულია არა ერთი და ორი მიზეზისა გამო. აუცილებელია, რომ ამ შენთხვევაში მთავარი ადგი უჭირავს იმ ურწმუნოების ქადაგებას, რომელიც თან დაჰყვა ჩვენში ხალხის მოძრაობას, მაგრამ ნუ ვუმტყუნებთ სამართლიანობას და გულ ახდილად ვალიარეთ, რომ არც სამოგვალოებაა აქ უდანაშაულო.

სამწუხაროა, რომ ზოგიერთა მოგვალები თითონ აძლევენ ხალხს სარწმუნოებაზე გულგრილობის საბუთს. მაგალითად, ითვლებიან საღრმთო სჯულის მასწავლებლებად სასწავლებლებში და მოსწავლეებს კი არაფერს ასწავლიან საღმრთო სჯულიდან და ამითი ეკერს უკრავენ იმ ეოთოობის მქადაგებლებს, რომლებიც ზღაპარსა და სიტუტუცეს ეძახი ნ საღმრთო წერილს. ზოგიერთა მოგვალები საღმრთო სჯულის მასწავლებლებთ ითვლებიან შეოლებში და წმითი წმობამდინ კი ერთხელაც არ მიიხედავენ სასწავლებლებისაკენ და ამითი დაურღვეველ საბუთს აძლევენ ხელში იმ ბოროტ მქადაგებლებს. რომლებიც სიტყვით და წერით ჭქადაგებენ ქვეყანაზე საღმოგვალოების უკარგისობას, სიცრუეს. ფარისეველობას, ზნეობრივ დაცემულობას და ამ გვარებს. გთხოვთ მეგობრად შებრძოლოთ ამ გვარ ეიარს, საზოგადოების გამტეხ თანამოძმეებს და მიიღოთ მათი საქციელის საწინააღმდეგო ზომები,

მაგრამ ეს კიდევ, იქნება, იმდენად მახლობელი მიზეზი არ არის ხალხის გულგრილობისა ეკლესიისადმი, რამდენადაც ის, რომ მოგვალები ერთობ გულაურილთ და დაუდეგრად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ეკლესიაში. ხალხიცა, ჩვენს და ბევრი მორწმუნე მოგვალისაგანაც გამიგონია, რომ ბევრგან მოგვალები დამეს ატარებენ სმაში, ქალაღდის და ნარდის თამაშობაში, ბაბირობის ბოღებაში და დიდით კი გონება დაბნეული და დაღლილი მიდიან ეკლესიაში წირვის შესასრულებლათ, აღვილი წარმოსადგენია, რა ასოებითა და რიდით, რა გამშვენებითა და აღფრთოვანებით შესრულებს უდიდეს საიდუმლოებას მთელ დამის უძინარი და სმაში გართული მოგვალი! რომელ ბრაბანტისტს შეუძლიან იმდენად აუცრუოს ხალხს გული წირვაზე, როგორც ამ ჯურის მოგვალებს...? მოგვალი დუქანში ითრობა, დუქანში საკითხავ მარხვის სჯამს, ეკლესიის კარების წინ გაკაგდებს

რა თქმა უნდა, ესეთი გულ გრილობა ხალხისა ეკლესიისადმი გამოწვეულია არა ერთი და ორი მიზეზისა გამო. აუცილებელია, რომ ამ შენთხვევაში მთავარი ადგი უჭირავს იმ ურწმუნოების ქადაგებას, რომელიც თან დაჰყვა ჩვენში ხალხის მოძრაობას, მაგრამ ნუ ვუმტყუნებთ სამართლიანობას და გულ ახდილად ვალიარეთ, რომ არც სამოგვალოებაა აქ უდანაშაულო.

სამწუხაროა, რომ ზოგიერთა მოგვალები თითონ აძლევენ ხალხს სარწმუნოებაზე გულგრილობის საბუთს. მაგალითად, ითვლებიან საღრმთო სჯულის მასწავლებლებად სასწავლებლებში და მოსწავლეებს კი არაფერს ასწავლიან საღმრთო სჯულიდან და ამითი ეკერს უკრავენ იმ ეოთოობის მქადაგებლებს, რომლებიც ზღაპარსა და სიტუტუცეს ეძახი ნ საღმრთო წერილს. ზოგიერთა მოგვალები საღმრთო სჯულის მასწავლებლებთ ითვლებიან შეოლებში და წმითი წმობამდინ კი ერთხელაც არ მიიხედავენ სასწავლებლებისაკენ და ამითი დაურღვეველ საბუთს აძლევენ ხელში იმ ბოროტ მქადაგებლებს. რომლებიც სიტყვით და წერით ჭქადაგებენ ქვეყანაზე საღმოგვალოების უკარგისობას, სიცრუეს. ფარისეველობას, ზნეობრივ დაცემულობას და ამ გვარებს. გთხოვთ მეგობრად შებრძოლოთ ამ გვარ ეიარს, საზოგადოების გამტეხ თანამოძმეებს და მიიღოთ მათი საქციელის საწინააღმდეგო ზომები,

მაგრამ ეს კიდევ, იქნება, იმდენად მახლობელი მიზეზი არ არის ხალხის გულგრილობისა ეკლესიისადმი, რამდენადაც ის, რომ მოგვალები ერთობ გულაურილთ და დაუდეგრად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ეკლესიაში. ხალხიცა, ჩვენს და ბევრი მორწმუნე მოგვალისაგანაც გამიგონია, რომ ბევრგან მოგვალები დამეს ატარებენ სმაში, ქალაღდის და ნარდის თამაშობაში, ბაბირობის ბოღებაში და დიდით კი გონება დაბნეული და დაღლილი მიდიან ეკლესიაში წირვის შესასრულებლათ, აღვილი წარმოსადგენია, რა ასოებითა და რიდით, რა გამშვენებითა და აღფრთოვანებით შესრულებს უდიდეს საიდუმლოებას მთელ დამის უძინარი და სმაში გართული მოგვალი! რომელ ბრაბანტისტს შეუძლიან იმდენად აუცრუოს ხალხს გული წირვაზე, როგორც ამ ჯურის მოგვალებს...? მოგვალი დუქანში ითრობა, დუქანში საკითხავ მარხვის სჯამს, ეკლესიის კარების წინ გაკაგდებს

ხელიდან ᲐᲞᲐᲘᲠᲝᲜᲘᲡ ნაᲛᲬᲘᲡ. მღვდელს თავისი კარეგნობისა სცხოვნია, იკრეᲑᲜᲘᲡ ᲝᲛᲘᲡ და წვერს, ᲩᲝᲮᲐᲖᲔ ᲒᲫᲔᲚ ᲐᲜᲐᲗᲝᲠᲘᲡ ᲐᲓᲐᲠ ᲘᲪᲕᲐᲛᲡ და ᲐᲠᲝᲠᲐᲞᲐᲜᲓᲘᲡᲢᲘ რაᲨᲣᲐᲨᲘა, რᲝᲛ ᲣᲕᲔᲚᲐ ᲐᲛᲘᲡ გაᲛᲝ ᲘᲒᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ შეᲘᲫᲣᲚᲐ და ᲐᲮᲚᲐ ᲐᲓᲐᲠ ᲔᲙᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲐᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲡᲘᲐᲨᲘ?!

გთხოვთ იქონიოთ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲔᲡ ᲡᲐᲮᲔᲨᲘ და თუ მართლა გიდვივით გულში ცხოველი სარწმუნოება, მიიღოთ ᲯᲔᲠᲝᲕᲐᲜᲘ ᲖᲝᲛᲔᲑᲘ, რᲝᲛ ჩვენ მიერვე არ იᲒᲛᲐᲠᲗᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲓᲛᲔᲠᲗᲘა.

კიდევ თქვენდა სᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝ შენიშვნა

დღეს ჩვენ ეკლესიებში თითქმის ᲧᲝᲕᲔᲚᲘ მღვდელმᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ იწყება, გრძელდება და თავდება მხᲝᲚᲝᲓ კითხვით, კითხვა კი თუ იგი გრძელდება სᲐᲗᲘ ან კიდევ მეტი, მსმენელისათვის სამძიმᲝ და მᲝᲡᲬᲧᲔᲜᲘᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲫᲕᲔᲚᲐᲓᲒᲐᲜᲒᲕ ქრისტიანეთა ეკლესიაში გამეფებული იყო უმთავრესად გალობა; გალობამ შეაᲧᲕᲐრა ხალხს ქრისტიანობა, გალობა იზიდავდა უმთავრესად ეკლესიაში მᲚᲝᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ, გალობის დახმარებით გავრცელდა განსაკუთრებით ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲒᲐᲜ ქრისტიანობა. ᲐᲡᲔᲗᲘᲕᲔ კეთილი გავლენა ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ეკლესიურ გალობას ჩვენშიც, მით უფრᲝ, რᲝᲛ ჩვენი ხალხი ბუნებით გულ გახსნილი, მხიარული, ცოცხალი და მᲝᲛᲦᲔᲠᲐᲚᲘა. რᲝᲛᲔᲚᲘ სᲐᲥᲛᲔ, რᲝᲛ ჩვენი ხალხი ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲔᲡ მას ᲣᲡᲘᲛᲦᲔ რᲝᲗ? მკვდრის დასᲐᲤᲚᲐᲕᲔᲑᲐ ᲮᲝᲛ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐᲐ, მაᲒრამ ᲐᲥᲐᲪ ქართველს ᲕᲔᲠ ᲣᲓᲐᲠᲢᲜᲘᲐ თავისი ბუნებისათვის და გᲛᲘᲜᲕᲐ და ᲣᲨᲘ, წᲣᲛᲑᲘᲔᲠ მᲝᲗᲥᲛᲐᲢᲘᲠᲘᲚᲐᲓ გᲐᲓᲐᲣᲥᲛᲜᲘᲐ. თავის თავად ცხადია, რᲝᲛ ᲐᲛ გვარი ბუნების ხალხი ᲐᲠᲐ ᲝᲓᲔᲚ ᲐᲠ შეᲣᲠᲘᲒᲔᲑᲓᲔᲡ ეკლესიებში სᲚᲛᲠᲗᲝ წიგნები გᲐᲣᲠᲒᲕᲔᲕᲔᲚ და ძალის მᲝᲛᲒᲕᲠᲔᲚ კილᲝᲖᲔ სᲐᲗᲘᲛᲣᲚ კითხვას და, თუ ეს წესი არ შეᲕᲪᲕᲐᲚᲔთ, ᲑᲔᲕᲠᲘᲪ რᲝᲛ ᲕᲔᲪᲓᲝთ, ᲕᲘᲠᲐ ᲕᲘᲠᲐ ᲒᲐᲕᲮᲓᲔᲑᲘთ, ეკლესიები ᲧᲝᲕᲔᲚ თვის ცარიელები იქნებიან.

გალობაშიაც ᲕᲔᲠ გᲐᲒᲕᲐᲛᲐრთᲚᲔᲡ იმედები ᲕᲔᲠᲪ სᲨᲣᲐᲚᲝ და ᲕᲔᲠᲪ დაᲑᲐᲚᲛᲐ სᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲛᲐ. უნდა მიᲒᲛᲐᲠᲗᲝთ ისევ ხალხს. (საᲬᲘᲠᲝ მᲝᲫᲔᲑᲜᲝთ გალობის მცᲝᲓᲜᲔ სᲝᲤᲚᲔᲚᲔᲑი, მღვდᲚᲔᲑი, იქნებიან ᲔᲡᲜᲘ, დიაკᲜᲔᲑი, თუ კᲚᲘᲠᲔᲑი და ᲕᲔᲪᲓᲝთ, რᲝᲛ თვითეული სᲐᲑᲚᲝᲓᲝᲩᲘᲜᲐᲨᲘ სᲐᲛᲘ კაცმა მაინც ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ შეᲘᲡᲬᲐᲚᲝს მათგან გალობა. თუ ეს მᲝᲒᲐᲮᲔᲠᲮᲗᲔ, თუ ხალხი ᲐᲒᲐᲛᲐᲫᲠᲐᲕᲔთ, მერე სᲐᲙᲚᲔᲡᲘᲐ გალობა ხალხას სᲐᲥᲛᲔᲓ გᲐᲓᲐᲥᲪᲔᲕᲐ და ჩვენი ეკლესიებიც გაᲝᲑᲔᲑᲘᲐᲜ, ჩვენი ეკლესიებიც კვლავინდებულად აივსებიან მᲝრწმუნე მᲚᲝᲪᲕᲔᲚᲔᲑით.

დახარჩენი კითხვები ჩვეულებრივი ხასიათისანი არიან და მათი განმარტებით ᲐᲓᲐᲠ შეგაწუხებთ.

ᲓᲛᲔᲠᲗᲛᲐ გიკურთხოთ კრება და სული წმიდა იეᲡᲣᲡ თქვენი ხელმძღვანელი მᲝᲛᲐᲕᲚᲔ სᲚᲛᲠᲗᲝ შრᲝᲛᲐᲨᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲜᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲖᲘ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ მᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲐ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲖᲘᲡ ᲒᲐᲑᲠᲘᲔᲚᲘᲡᲐ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ მᲝᲮᲓᲐ 1863 წელსა, ივნისში, რᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲔᲡ მაზრა შეᲓᲘᲝᲓᲐ იმერეთის ᲔᲞᲐᲠᲥᲘᲐᲨᲘ, რᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲯᲔᲠ კიდევ რკინის გზა არ არსებᲝᲑᲓᲐ საქართველᲝᲨᲘ. გაᲑᲠᲘᲔᲚ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲖᲘ მᲝᲑᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲐ ქუთაისიდგან აᲑᲐᲡᲗᲣᲛᲜᲘᲡ გზით, რადგანაც სურᲐᲛᲘᲡ გზით შᲝᲠᲡ მᲝᲣᲕᲚᲘᲓᲐ, გადმᲝᲣᲕᲚᲘᲐ ზეკარის მთა, არა მიᲛᲮᲔᲓᲘ მაშინდელ გზების ცუდ მდგᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡᲐ ᲮᲡᲜᲔᲑᲣᲚ მთაზედ, სადაც მაშინ დიდი შიშიანᲝᲑᲐ იყო ავაზაკთაგან, მას მიეგებნენ თურმე შეიარაღებულნი ქართველნი ქალაქ ახალციხიდგან, სულ ცხენᲝᲡᲐᲜᲜᲘ. რᲝᲓᲒᲝᲠᲪ გადმᲝᲛᲪᲔს, ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲖᲡ აᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲨᲘ მᲝᲰᲙᲠᲗᲛია ერთი ძვირფასი ცხენი დაᲦᲚᲘᲚᲝᲑისაგან. ერთი ღამე მის მეუფებას აᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲨᲘ დაუყვია. მეᲝᲠᲔ დღე საღამᲝᲗᲘ მიᲑᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲐ სᲝᲤᲔᲚ ᲕᲐᲚᲔᲨᲘ, რᲝᲛᲔᲚᲘᲪ შᲝᲠᲐᲕს აᲑᲐᲡᲗᲣᲛᲐᲜᲡ 15 ᲕᲔᲠᲡᲘᲡ-მანძილზე, მათი მეუფეᲑᲐ ᲞᲘᲠᲓᲐᲞᲘᲠ ᲔᲚᲔᲡᲘᲘᲡ გალავᲐᲜᲨᲘ მიᲑᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲐ, სადაც მას ᲔᲚᲝᲓᲐ თურმე დიდძალი ხალხი, რᲝᲛᲔᲚᲗᲐ სიხარულს საᲖᲦᲕᲐᲠᲘ არა ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, მით უმეტეს რᲝᲛ სᲝᲤᲚᲐᲓ არ ᲔᲜᲐᲮᲐᲗ ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲝᲖᲘ. მთᲔᲚᲘ ᲕᲐᲚᲔᲡ მცხᲝᲕᲠᲔᲑᲜᲘ: მართლმადიდებᲔᲚᲜᲘ, კათᲝᲚᲘკᲔᲜᲘ და მᲰᲰᲐᲓᲘᲐᲜᲜᲘ ქართველნი შეგᲠᲝᲕᲘᲚᲐᲜ მათ მეუფებასთან, რᲝᲛᲔᲚᲘᲪ, — მღვდლის ჩვეულებრივ დახვედრის შემდეგ დამდგარა რა ამᲑᲘᲝᲜᲖᲔᲓ ხალხი უმთხვევია ᲯᲕᲐᲠᲖᲔ და ᲮᲔᲚᲖᲔ; განსაკუთრებულ სიამᲝᲕᲜᲔᲑით მᲝᲙᲪᲔᲕᲘᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡᲐ- მათ მეუფებას ღამე გაᲣᲗᲔᲜᲔᲑია მღვდლის სახლში, მის

კრებულსკი გლეხებისაში მას ხლებია დეკანოზი ივანე გამრეკელოვი, ერთი მღვდელი, ორი მთავარი და სამიც მგალობელი. მეორე დღეს უწირავს ვალეში. წირვას ბევრი ხალხი დასწრებია სოფლებიდგან და თვით ახალციხიდგანაც როგორც კათოლიკენი, ისე მაჰმადიანებიც. წირვის შემდეგ და ქადაგებისა მათ მეუფებას უსადილნია კარაპანში, სადაც ზოგიერთ გლეხებისათვის ნება მიეცა მათ მეუფებას სადილი ერთათ ეჭამათ. სადილის შემდეგ გადაუხდია რა პანაშვიდი ეკლესიის გალავანში დასაფლავებულთათვის, წამობძანებულა ქ. ახალციხეში, სადაც უწირავს. შემდეგ უწირავს საფარაში, მუსხში, რზველის ეკლესიაში ულოცნია მწუხრი და ცისკარი და დილით ხალხით ერთად გადაბძანებულა სოფ. ჯობარეთს ფეხით (სოფელი რზველი და ჯობარეთი დაშორებული არიან ერთმანეთზედ 2 ვერსზე). ჯობარეთშიც სწირა, საიდგანაც ეწვია მათი მეუფება ს. ერკოტას; აქაც სწირა. ყოველ სოფელში, სადაც-კი მიბძანებულა, უქადაგნია. ერკოტელებს საჩივარიც მიერთმიათ მისთვის, მღვდლები გვაწუხებენო, ბევრს გვართმევენ წეს-მოქმედების შესრულებისათვისო; მისი მეუფება შეკითხებია, რაში მდგომარეობს თქვენი შეწუხება, ან რას იხდითო: იმათ ეთქვათ, ჯვარის საწერს 3 მან. გვახდევინებენო, დასამარხს და შვიდისას 3 მან. და ორმოცის წირვისას 8 მანათს ერთ მიცვალებულზედაო. მათ მეუფებას ქაღალდი დაეწერა და მიეცა ხალხისათვის: ჯვარის საწერი 2 მან., საწირავი კი 50 კაპ. მიეცითო. ერკოტიდგან ეწვია სოფელ ტოლობს, მერე ზედათმოვს, ვარძიას და შემდეგ მთელი ჯავახეთის სოფლები მოიარა. სულყველა შტატის ეკლესიებში და ზოგან ზედ-მიწერილ ეკლესიებშიც უწირავს.

მეორე მგზავრობა გაბრიელ ეპისკოპოზისა მოხდა 1866 წ. შემოდგომაზე პირველად სწვევია ახალციხეს, შემდეგ ვალეში წასულა. აქ ახლად გახსნილი იყო ქრისტიანობის აღმადგინებელ საზოგადოების სკოლა, სადაც 20 მდე ქალი და ვაჟი სწავლობდა. მასწავლებლობდა ახალი, მონათლული ივან ივანიჩი. გაბრიელ ეპისკოპოზმა ინახულა სკოლა, წააკითხა ბავშვებს ლოცვები, დაუხედა ეგრეთვე სხვა საგნებიც. დაურიგა ბავშვებს პატარ-პატარა ვერცხლის ჯვრები, ოქროს წყალში დაფერილი. მეორე დღეს სწირა, ამ წირვაზე ერთი მღვდელი, ალექსი ზედგინიძე, დააჯილდოვა ბედენიკით. ქ. აქედან წამძანდა ზარზმის მონასტერში. პირველ მობძანებაზედ ახალციხეში იყო ბლაღოჩინათ მღ. ანდრეევი, მეორე მობძანებაზედკი დეკანოზი გიორგი გამრეკელოვი. სხვა ვეღარ გავიგე თუ სადა და სად დაიარა მათ მეუფებამ.

მღვდელი ეფრემ ინასარიძე.

ბატონ ბიჯითელის მცირე შენიშვნის გამო.

1) ჩვენ ახლაც ვამბობთ, რო „შენთა შენთაგან“ უნდა, თუ „მომხსენებელნი“ს არ შევსცვლით „მოვიხსენებთ“ ად.. გთხოვთ ჩვენ კნინ ნაწერს ჩაუკვირდეთ.

2) არ ვიცით, საიდან გამოგყავთ, რო კავშირის „და“ს ხშირად ხმარება მაბრაზებს; მაგრამ ამას ალბად თავისებურ ეფექტისა და შნოსთვის ამბობთ.

3) საღმრთო წერილში და სხვა ძველ ნაწერებშიც „და“ ხშირმდ რო არის ნახმარი ეს ჩვენ დიდიხანია ვიცით, ვიცოდით ეს სასულიერო სემინარიაში სწავლის დროსაც; ამის ცოდნას არავითარი სიბრძნე და გონების სიმახვილე არ უნდა, საკმაოა წაკითხვა. მაგრამ ახლა განვითარებულ ლიტერატურულ ენაში მიღებულია, რაც შეიძლება, იშვიათად ხმარებულ იქმნას კავშირი „და“. გრამატიკა უჩვენებს, თუ სად იხმარება „და“. ამის გამო ტოვებას ზოგიერთ ალაგას არავითარი ვნება არ მოაქვს აზრის სწორ გამოხატვისათვის

4) თქვენ არ გინდათ ქართულმა ტექსტმა უმტყუნოს ბერძნულსა და სლავიანურს, და მაშ რატომ არ გნებავთ, რომ იყოს „შენთა შენთაგან“. როგორც ეს არის ბერძნულსა და სლავიანურში?

5) რა იცით, რო დიმიტრევსკის წიგნი

შემთხვევით ჩამივარდა ხელში? ალბად, ესეც ეფექტისა და შნოსთვის არის დაწერილი.

6) ძველ ნაწერებში, იმ დროისა, როცა საქართველოში კონსტანტინეპოლელ მღვდელმთავართა კონდაკები შემოვიდა ხმარებაში და როცა საღმრთო წერილის წიგნები ხელახლად გადაითარგმნა ანუ შესწორებულ იქმნა ათონელ მნათობთა მიერ, ანუ იმის მახლობელ დროისა,—გვხვდება „ურთიერთარს“ „ურთიერთას“, „ურთიერთსა“, „ხდად“ და „ხადად“. ამ სიტყვებიდან ჩვენ ნება გვაქვს ვიხმაროთ, რომელიც გვინდა. ჩვენ ვამჯობინებთ „ურთიერთსა და „ხადად“ს, რადგან ესენი ამ დროისთვის უფრო ადვილი გასაგები არიან და ამასთანავე ქართულ ენის კანონებს არ ეწინააღმდეგებიან. თქვენ თუ არ მოგწონთ ესენი, დაგვიმტკიცეთ, რო ისინი ქართულ ენას არ შეეფერებიან.

7) თქვენ სწერთ, „მოხედენ“ უნდა გაადასწოროს „მოხედეთ“, რისთვის, არ ვიცით. ძველ ენაში „თ“ს ადგილი როდი ჰქონდა, მაგ. მოგიტანა თქვენ, მიგცე თქვენ, გნებავს თქვენ.“—მღვდელი ეუბნება მლოცველებს, რომ მათ მოხედონ, ყური უგდონ იმას რაც იკითხება ანუ სრულდება. აქ ბრძანებითი კილოა, მრავლობითის რიცხვის მეორე პირი. ხოლო თქვენ მიერ მოყვანილი მაგალითები ამ კილოის არ არის, ისინი არიან მოთხრობითის დახრისა, და მაშასადამე ჩვენს ნათქვამს ვერ არღვევენ. შემდეგ, ნუ თუ მართლა გგონიათ, რო ძველ ენაში „თ“ს ადგილი არ ჰქონდა? აბა ეს რაა? „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი ნათესავნი და ნათელს სცემდით და ასწავებდით (მათ 28, 19);“ „შეინანეთ და მოიქეცით, რათა აღიხოცნენ ცოდვანი თქვენნი (საქმე მოც. 3, 19);“ „შეიმოსეთ იესო ქრისტე ჰ ხორცთა ზრახვასა ნუ ჰყოფთ გულის სათქმედ (რომ. 13,15)“, უძლური იგი სარწმუნოებით შეიწყნარეთ (რომ. 14, 1,) ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერში მეთერთმეტე საუკუნისაში: „მოვედით მწყობრნო მგალობელთანო, სულთა ჩვენ თათვის გამოხსნა ითხოვეთ ღმერთ შემოსილნო და გვიძღოდეთ ჩვენ; მეთერთმეტე საუკუნის ხელთნაწერში (№ 484): ესე უწყოდეთ; ლოცვა ყავთ; შემინდვეთ; ითხოვეთ; მეთერთმეტე საუკუნის № 626 ბრძანეთ, ლოცვა ყავთ ჰ სხვაგან მრავალჯერ; წირვის შესმი: სიბრძნით აღემართენით ჰ ისმინეთ. ნარით ბოლოვდება ხშირად ბრძანებითის კილოის მეორე პირი მხოლოობითის რიცხვისა მაგ. № 558—ში: უკეთუ მოიწივნენ შენზედა განსაცდელნი, მოითმინენ, მღვიძარედ იპყრენ მამაო თვალნი; მამაო იოანე, გვითხოვენ ჩვენ; აღავსე გულნი მგალობელთა შენთანი, მამაო იოანე და წარმართენ სლვანი ღმერთო, მოხედენ მონათა შენთა. ამ შემთხვევაში ნარი ემატება ბოლოში მაშინ, როცა ზმნიდან დამოკიდებული სიტყვა მრავლობით რიცხვშია. ღმერთო, შეიწყალე მონა შენი; ღმერთო, შეიწყალენ მონანი შენნი.

8) სისწორით რო სთქვას კაცმა, ლოცვა მოვალეობა კი არაა, არამედ პირადი საკეთო, ბედნიერება. მოვალეობა რაღაც გარეგანი და ძალდატანებითია, ხოლო ლოცვა შინაგანი დასრულიად ნებაყოფლობითი სულიერი აქტი, მოქმედება; ანუ ლოცვა არის ერთი იმ მიუცილებელ სახეთაგანი, რომლებითაც გამოიხატება რელიგიური ცხოვრება ადამიანისა. კარგი, იყოს ლოცვა მოვალეობა, ამის თქმა ცოდვა არ იქნება, მაგრამ კაცს სხვა მოვალეობაც აქვს, მაგ. სიყვარული ღვთისადმი. ხოლო როგორ იტყვიან, ცხად ვუყოთ აღვუსრულოთ სიყვარული უფალსა, თუ ცხადვყოთ, აღვასრულოთ სიყვარული ღვთისადმი ანუ ღვთისა მიმართ? ვგონებთ, მეორე ნაირად. შემდეგ, „აღვუსრულოთ ვედრება უფალსა“ სრულიად არ ხატავს იმ ურთიერთობას, იმ დამოკიდებულობას ღვთისა და კაცსშუა, რომლის აღნიშვნა თქვენ გინდათ. სიმონ, წაუკითხე ივანეს წიგნი. როცა სიმონი ჰკითხულობს წიგნს იგი კითხულობს არა თავისთვის, არამედ ივანესთვის და შეიძლება სრულიადაც არ გულისხმისჰყოფდეს იმას, რასაც ჰკითხულობოს; იგი აქ პასსიურ მდგომარეობაშია, იგი ისმენს და ითვისებს იმას, რაც იკითხება. კიდე, როცა გვინდა დავამტკიცოთ, რო ეს და ეს წარმოება და თხზვა ლექსთა სწორია ჩვენ მისთვის ხელოვნურად შექმნილი მაგალი-

თები კი არ უნდა მოვიყვანოთ, არამედ ისინი სინამდვილიდან უნდა ამოვიღოთ. მოსწავლემ რომ სთქვას, მასწავლებელს გაკვეთილი უნდა დაუმზადოო, ამბობთ თქვენ, მაგრამ ასე არ იტყვიან; ამბობენ: „გაკვეთილი მოვამზადე, დავისწავლე. თუ ვინმე იტყის: მასწავლებელს გაკვეთილი მოუმზადეო, ეს შეცდომა იქნება, და უნდა გოუსწორონ. მოსწავლემ უნდა ისწავლოს არა მასწავლებლისათვის, არამედ თავისთვის, არა იმიტომ, რომ მასწავლებელს ასიამოვნოს, არამედ იმიტომ რომ თვითონ ცოდნა შეიძინოს. დაბოლოს, დაგვიმტკიცეთ რომ მეთერთმეტე საუკუნის ხელნაწერში ნახმარი „აღვასრულოთ ვედრება ჩვენი უფლისამიმართ ქართულ ენის კანონებს არ ეთანხმება და ჩვენ გავჩუმდებით.

მართალია, ჩვენ სიფრთხილე გვმართებს, რომ ჩვენის უვიცობით არ გავაფუჭოთ ის, რაც წინაპრებმა გადმოგვცეს. მაგრამ, ვინც გარჯილა და სხვა და სხვა ძველი ნაწერები წ-უკითხავს,ის დაინახავდა, რომ იმ ნაწერებში არა იშვიათია სხვადასხვაობა ენისა; ძველები, ერთი და იმავე დროისაცა,სხვადასხვა ნაირად აწარმოებდენ და თხზავდენ სიტყვებსა, რო მწერლები სწერდნენ იმ კილოზე, რომლიდანაც ისინი იყვნენ. ეხლა ჩვენ ამ სხვადასხვაობიდან უნდა ამოვარჩიოთ საუკეთესო სიტყვები და ფორმები და ამ შემთხვევაში უნდა ვიხელმძღვანელოთ საერთოდ ენისა, და კერძოდ ქართულ ენის კანონებითა, მოთხოვნილებებითა. შემდეგ, ჩვენ სიტყვებსა და ფორმებს ვიღებთ სწორედ იმიდგან, რაც წინაპრებმა გადმოგვცეს და ვხმარობთ იმ სიტყვებსა, იმ ფორმებსა, რომლებიც ამ დროსაც ხმარებაშია, და ნუ თუ თქვენ ამას ეძახით ენის გარყვნას? ჩვენ რო თვით ვთხზავდეთ სიტყვებსა და ფორმებს, მაშინ ღირსი ვიქნებოდით გაკიცხვისა; მაგრამ ჩვენ ვემყარებით ძველ ნაწერებზე. ახლა დაგვიმტკიცეთ, რო ჩვენ მიერ მოყვანილი სიტყვები არაა უუძველეს მწერლობაში და ახლანდელებშიაც, რო ისინი არ ეთანხმებიან ქართულ ენის ძირითად კანონებს, თუ გინდ უუძველესისაცა, და ჩვენ დამარცხებულად აღვიარებთ თავსა. იქნება, თქვენ სთქვათ, რო ის ძველი ნაწერები, რომელიც ჩვენ აზრებს ხელს უწყობს,დამახინჯებულია უვიც გადამწერების მიერ; მაგრამ ესევე შეიძლება ითქვას იმ ნაწერებზედაც, რომელზედაც თქვენ ემყარებით. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რო ჩვენ ვხმარობთ სიტყვებს სწორეთ იმ დროის ნაწერებიდან, რომლებიც დაიწერა იმ დროს, როცა ეხლა ღმარებული საღმთო წერილი გადაითარგმნა, ანუ შესწორდა ათონელ ქართველთა მიერ, ე. ი. მეათე-მეთერთმეტე საუკუნეთ?

10) რო სისწორით განვსაზღვროთ, თუ რომელი სიტყვები და ფორმები ენისა კანონიერია და ძველ ქართულ ენას ეთანხმება, ამისთვის საჭიროა ცოდნა არა მარტო საღმრთო წერილის ენისა, არამედ სხვა ძველ ნაწერებისაც, განსაკუთრებით კი ორიგინალურებისა, რადგან თარგმანებში მწერალნი ნება უნებურად უცხო ენათა ზედგავლენას ემორჩილებოდენ.

11) გვირჩევს, ენა შევისწავლოთ მცოდნეთაგან. გეტყობათ, თქვენ სთვლით თქვენ თავს ენის მცოდნეთ და გთხოვთ გვასწალოთ; გისმენთ დიდის სიამოვნებით. თუმცა ჯერ თქვენ და დიმიტრას მამიდაშვილმა ენის ცოდნა ვერ გამოიჩინეთ მხოლოდ გაიძახით: ენა არ იციან, კითხვა არ იციან, უვიცები არიან, საღმრთო წერილს ღრმად ჩაუკვირდენ ენას რყვნიან და სხვა, და დადებითი კი არასფერია თქვენს შენიშნვებში.

დავითი. ეპისკოპოსი

25 თებერვალსა 1910 წ.

კეთილი მოძღვარი.

(რუსულიდან).

ეფესოს ტაძარში წირვა იდგა. უქმი ღე იყო და ტაძარი სავსე იყო მლოცველებითა. ეპისკოპოზი ტიმოთე ასრულებდა ღვთის მსახურებას ნერონის ბრძანებით რომში საში-

ნლად სდევნიდნენ მრწმუნეთა ეკლესიებს, მცირე აზიაში კი ეფესელი ქრისტიანები, სადაც მათი რიცხვი ყოველ დღე იზრდებოდა, ჯერ-ჯერობით სტკბებოდნენ სრული მშვიდობიანობით. ღვთის მსახურების გათავების შემდეგ მღვდელ-მთავარი ტიმოთე ავიდა კათედრაზედ და დაიწყო წარმოთქმა მოძღვრებისა. ტაძარში მეფობდა სრული სიჩუმე, რომელსაც არღვევდა მხოლოდ ხმა მქადაგებლისა. უცებ კარები გაღდო და გამოჩნდა მხედართა რაზმი. გაისმა იარაღის წკარუნი და რამოდენიმე წუთის განმავლობაში ტაძარს გარს შემოერტყა ჯარის კაცები. გვარდიის აფიცერი მივიდა ეპისკოპოზთან, ჩამოიყვანა ის კათედრიდგან, მისცა ხელში გრძლად დახვეული ქაღალდი და ხმამაღლა უთხრა: „იმპერატორი ნერონი გიგზავნის შენ ამ ბრძანებას, წაიკითხე!“ ტიმოთემ გახსნა ბრძანება და დაიწყო კითხვა ხმამაღლა. ნერონი უბრძანებდა მას და ამა ქალაქის ყველა ქრისტიანებს, გაეცათ რომიდგან გამოქცეული ქრისტიანები, რომლებიც იმალებოდნენ ეფესოში, წინააღმდეგ შემთხვევაში ემუქრებოდა სიკვდილით დასჯას. „არა,- წყნარად და მტკიცედ წარმოსთქვა ტიმოთემ რა გაათავა კითხვა.—ჩვენ არ შეგვიძლია მისი ბრძანების შესრულება.— მოახსენეთ იმპერატორს, რომ მზათ ვართ დავიხოცოთ ყველა, ვიდრე გავსცეთ ჩვენი ძმები.—ტაძარში მყოფმა ხალხმაც ერთხმად დაიძახა:—ამინ! აფიცერი ურჩევდა ეპისკოპოზს შეეცვალა თავისი გადაწყვეტილება, რადგან ყოველი ადამიანი, ქრისტიანია ის თუ წარმართი, ვალდებული დაემორჩილოს კანონს;—მაგრამ ტიმოთე იდგა შეურყეველად და არ სტეხდა თავის სიტყვას. —მე ვიცი, უპასუხა ტიმოთემ, რომ მორჩილება ჩვენი ვალია, მაგრამ ჩვენ უნდა დავემორჩილოთ მხოლოდ კანონიერ მოთხოვნილებას, რომელიც არ არის წინააღმდეგი ჩვენი სინიდისისა და ქრისტეს მცნებისა, იმპერატორი კი თხოულობს ჩენგან უპატიოსნო საქციელის ჩადენას, რაზედაც ჩვენ არ შეგვიძლია დათანხმება.“ დიდხანს ცდილობდა აფიცერი, როგორმე დაეთანხმებია ეპისკოპოზი. მაგრამ ყოველივე მისი ცდა ამაო შეიქნა.— მაშ მე უნდა მივმართო სასტიკ ზომებს! წამოიყვანა განრისხებულმა აფიცერმა და გასცა საშინელი ბრძანება.... ჯარის კაცებმა იშიშვლეს ხმლები, იელვა იარაღმა და დაიღვარა სისხლი ქრისტიანებისა. ყვირილი, კვნესა, ტირილი ისმოდა ტაძარში. ეპისკოპოზი იდგა იქვე; მის უკან იყო გასავალი პატარა კარები, საიდგანაც შეეძლო გაქცევა და თავის გადარჩენა.... მაგრამ ტიმოთე მღვდელმთავარი წარმოდგა წინ და სთხოვა აფიცერს, ერთ წუთს შეეჩერებია ხოცვა-ყლეტა. აფიცერმა იფიქრა, ტიმოთე თანახმაა შეასრულოს მეფის მოთხოვნილებაო და უბრძანა ჯარის კაცებს შეჩერება,—ამ დროს მღვდელმთავარმა შესძახა აფიცერს: „სანამ გაჰფანტავდე სამწყსოს დაამარცხე ჯერ მწყემი!“ ღრმა სიჩუმე გამეფდა გარშემო. ყველა შეჩერებოდა ტიმოთეს, მდგომარეს უიარაღოდ გაშმაგებულ მხედართა წინ. შეძოწუნდა აფიცრის პირის სახე; უნებურათ გადაავლო მან თვალი მის წინაშე წამდგარ ტიმოთეს და მისცა, რა ნიშანი ჯარის კაცებს, ერთად მათთან, ხმის ამოუღებლივ გამოვიდა ტაძრიდან.

ლადო ნაცვლიშვილი.

მუითმინე კიდევ!

მოთმინებითა თქვენითა
მოიპოვეთ სული თქვენი (ლუკ. 21.19)

ერთ უცნობ და მივარდნილ გზაზედ მიდიოდნენ მგზავრები. ძალზე შეცივებულებს, დასველებულებს და დაღალულ-დაქანცულებს გზაში დაუღამდათ. სად წავიდნენ?.. მაგრამ აგერ, შორს გამოიბეჟუტა ცეცხლმა: იფ, რა კარგია, ეხლა ფიქრი აღარ არის! მგზავრები უკანასკნელ ღონეს იკრებენ და ბნელაში ბორძიკ-ბარბაცით მიდიან წინ-წინ ალერსიანი ცეცხლისკენ. მაგრამ, ცეცხლი თითქოს უცეფ გადიმალა მთის უკან, მგზავრები დაეშვნენ ხევში და ისევ შეუდგნენ აღმართს. ახლა უფრო ძალიან დაბნელდა.

ხან ფეხი უსხლტდებათ, ხან ფლატეში სცვივიან, სინსილა გამოელიათ.—არა, აღარ შემიძლიან სიარული,—სთქვა ერთმა მათგანმა: ფეხებს ველარა ვძრავ, აღარ მემორჩილებიან.

— მოითმინე კიდევ, ძმაო,—მიუგეს დანარჩენებმა: როგორმე გადავრჩეთ ამ ხევსა და მერე თბილი კერა დაგვხვდება.

გადაიარეს ტანჯვით და წვალებითა ის ხევი, გადადგეს სულ რამდენიმე ნაბიჯი ცეცხლისკენ, და ისევ თვალწინ გაეშალათ დაღმართი! მძიმეთ, და ნაღვლიანათ ამოიოხრეს ზოგიერთებმა.

ოხ, ჩვენ ველარ შევძლებთ მეორე აღმართზე ასვლას!

მოითმინე კიდევ! მოისმა გასამხნევებელი ხმები—და რამდენიმე ხელი მიეშველა დასუსტებულებს...

ასე მეორდებოდა რამდენჯერმე. მგზავრებს თანდითან ლონე ელეოდათ, სუსტდებოდენ და ვარდებოდნენ სასოწარკვეთილებაში, მაგრამ ცეცხლს სულ უახლოვდებოდნენ და გასამხნევებელი ხმა შეუწყვეტლად ისმოდა:

— მოითმინე კიდევ!

აი კიდეც შემოუსხდნენ ცეცხლს! ეხლა ბედნიერები არიან, ნეტარობენ უსაზღვროთ! და ჩვენც განა ასეთივე მგზავრები არა ვართ ამ ქვეყნით? განა ჩვენც დატანჯულებს ქვეყნიური ამაოებით ამ გვარათვე არ გვინათებს ხოლმე თბილი კერა სარწმუნოებისა და სასოებისა? ცხოვრებაში ჩვენც ხომ ხშირათ ასე ვვარდებით სასოწარკვეთილებაში, როდესაც მივეცემით ხოლმე ეპვებს და ურწმუნოებას?.. და რა იქნებოდა ჩვენ თავზე, რომ ყველელ წუთს არ გვესმოდეს ლმობიერი ხმა ღვთისა:

— მოითმინე კიდევ!

როველმან დაითმინოს სრულიად იგი სცხონდეს.

მართალია, გზა თბილ ცეცხლისკენ, ღვთის კერისკენ, ზეციერ სასუფეველისკენ ძნელია, მიხვეულ-მოხვეულია, ღრანტე-ხევებიანია, მაგრამ მაინც გაკვლეულია. ამ გზაზედ ჩვენზე წინეთ გაიარა ქრისტემ. რათ უნდა გვიძნელდებოდეს მის უკან გაყოლა!

ვანო ოძიხელი.

ჭიათურა.

ვინ არ იცის, რომ ერთი უმთავრესი სამრეწველო ადგილია ჭიათურა მთელს საქართველოში. აქ ყოველ წელიწადს რამოდენიმე მილიონი მანეთი შავი ქვის ვაჭრობა ტრიალობს და, როდესაც ცოტა მეტ ფასში გადის ქვა, მაშინ ხომ ათეულ მილიონზე მეტი იყიდება. ჭიათურაში არი ყოველი ჯურის კაცი, რწმენისა და შეძლებისა! მილიონერი და პროლეტარი, ევროპიელი, ამერიკელი, და აზიელი, ანარხისტი და ღრმად მორწმუნე მართლმადიდებელი ერთი მეორეშია არეული. რაც უნდა მცირე ფასი ქონდეს ქვას მაინც მრავალი ხალხი მოძრაობს აქ. კვირაობით და დღესასწაულ დღეებში გამართულია დიდი ბაზრობა, რაისათვის ახლო-მახლო სოფლების ეკლესიები წირვა-ლოცვის დროს ცარიელია. აქ არი მრეწველთა საბჭო, თუმცა კანცელარია და მისი მწევრები ქუთაისში ბინადრობენ. ჭიათურას არ აკლია სასწავლებლები: სამოქალაქო, ქალთა პროგემნაზია და სხვა.—

მაგრამ, მაგარი ის არი, რომ სადაც ამოდენა ფული ტრიალებს, ამოდენა ხალხი ცხოვრობს სხვა და სხვა რწმენისა შეძლებისა და ეროვნებისა. საბჭოს დიდი შემოსავალი აქ, არ არის ეკლესია, თუმცა თუ სადმეა საჭირო ეკლესია, სწორეთ ჭიათურაშია. რისთვის? მისთვის, რომ, როგორც ზევით ვსთქვით, აქ იმოდენა ხალხი ფუსფუსებს, სხვა და სხვა რწმენასა და მიმართულებისა, რომ აქედამ ურწმუნოება, და ეკლესიის და მისთა მსახურთა აბუჩად აგდება და სხვა ამისთანაები არი თუ აქაურ მუშა ხალხში, არამედ სოფლებშიდაც ადვილათ გადადის ეს სენი. აგრეთვე სოფლებიდამ მრავალი ხალხი იყრის თავს უქმე—დღესასწაულებში და, რომ ეკლესია იყოს აქ, მორწმუნე კაცი შევა და წირვა-ლოცვას მოისმენს. რამოდენი დრო გადის იმდენი ხალხი ეკლესიებში აქეთკენ ნაკლებათ დაიარება, მაგრამ ეს ურწმუნოებით კი არ მოდის მას, არამედ ექვს დღეს მუშაობს, მეშვიდეს კი მიდის ბაზარში, თან მაქ ცოტა რამ ოჯახის ნაწარმოებიც გა-

საყიდათ, რომ გადასახადი გაისტუმროს და ოჯახის მოთხოვნილებაც დაიკმაყოფილოს. როდესაც საყვედურს ეტყვი, სწორეთ ზეით მოყვანილი მიზეზით იმართლებს თავს. ამიტომაც ჭიათურაში, რომ ეკლესია იყოს, მრავალი მორწმუნე კაცი დაიკმაყოფილებდა სულიერ მოთხოვნილებას.

1893, თუ 94, წ. პერევისის ეკლესიის საკურთხათ მობრძანდა განსვენებული ყოვლად სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსი. ჭიათურის სადგურზე მას აუარებელი ხალხი დახვდა. გადმოხტა თუ არა ვაგონიდამ, მოითხოვა სკამი, მიართვეს ტაბერეტკა. შედგა ზედ და დაიწყო ლმობიერი კილოთი ქადაგება, ხალხი სმენად გადაიქცა. სხვათაშორის სთქვა: „ჩვენი ქვეყანა მდიდარია სხვა და სხვა მადნეულობით, მაგრამ თქვენ კუთხეს, ამ შავი ქვის მდიდარ მხარეს, უწინ ხვდა შემუშავება. აქ დღეს არა, ხვალ მაინც დიდი ვაჭრობა დატრიალდება. მრავალი მუშა ხალხი მოიყრის თავს. აქ გაჩდებიან დიდი კაპიტალისტები. ღმერთს თქვენთვის მიწის გული თავის სიმდიდრით გადაუშლია და მოიხმარეთ თქვენი კეთილდღეობისა და სულის საცხონებელათ, მაგრამ ყველი ამაებთან საჭიროა კეთილი ზნეობა და სარწმუნოების მტკიცედ დაცვა. რაც დიდი შეძლება ან სწავლა უნდა ქონდეს კაცს, თუ მას კეთილი ზნეობა არ ახლავს თან, ყოლიფერი ფუჭია. ხალხში კეთილზნეობისა და სარწმუნოების განსამტკიცებელათ კი საჭიროა ღვთის ტაძარი ანუ ეკლესია. თქვენ ეკლესია არა გაქვთ და გთხოვთ იზრუნოთ მისი აშენებისათვის“. გაათავა თუ არა ქადაგება, აკურთხა ხალხი და ხელზე იმთხვია. ცოტა შესვენების შემდეგ საზოგადოებამ მოიყარა თავი და ხელათ აირჩია კომიტეტის მწევრები, რომელზედაც განაჩენი მოართვეს ყოვლად სამღვდელოს. მან, მგონია, თავის მხრით მოუმატა ორი მღვდელი კომიტეტს. გაჩაღდა საქმე, დაიწყეს წიგნით ფულის შეგროვება და ცოტაც არ შეუგროვებიათ, მაგრამ დღესაც არავინ იცის ეს ფული სად არი, ვინ წაიღო. საბჭომაც მიიღო მონაწილეობა ეკლესიის აშენებაში. ცოტა ხნის შემდეგ გადიცვალა გაბრიელი და ეკლესიის შენებაც შეჩერდა. მაგრამ იმერეთის კათედრაზე ყოვლად სამღვდელო ლეონიდე დანიშნეს; მან დიდი ყურადღება მიაქცია ამ საქმეს. შეადგინა ეკლესიის გეგმა საბჭოს ინჟინერმა მიხაილოვმა. დაიწყეს ეკლესიის ბალავერი ტ. ცოკოლდემა ამოიყვანეს, რომლის ამოშენებასდიდიფული დაჭირდა, (დაჭირდებოდა ,რასაკვირველია. ამბობენ, რომ 50 ცარიელი ბოჭკა ცემენტი საბსეთ ბოჭკებათ შეათვალეს თურმე და გასავალში გაწერეს). ეს ამოდენა ფული და ჯაფა ტყუილათ დაიღუპა შეჩერდა და ეკლესიის შენება და დღესაც გაჩერებულია.

რატომ არ აშენდა აქნამდი ჭიათურაში ეკლესია? აი რატომ ჯერ. დაწყებისათანავე ერთი მღვდელი შუქრუთისკენ წევდა ჭიათურას და მეორეც მონასტრისკენ, ხოლო ამ ბოლო ხანსაც სხვა-ორი კონკურენტი მღვდელი, ერთიც თავისთვის იჩემებს და მეორეც. ბოლოს ჭიათურას. ამისთვის გაჩდა პარტიობა და პარტიათა ბრძოლა, მით უმეტეს ჩვენ დროში, ამ აღრჩევითი წესის შემდეგ ადვილია პარტიის შოვნა: მოისყიდე ერთი ორი კაცი კარგად გამოაძღე პარტიის კაცები და ვინც უნდა იყო არ დაგიეევენ, საქმე შენია. მაგალითები აქეთ ბევრი მოხდა: ბევრში, კორბოულიში და სხვაგან. აგრეთვე საბჭოს მწევრებიც გულგრილათ ეკიდებიან ეკლესიის. აშენებას და ზოგიერთი მათგანი არც კი თვლის საჭიროდ ჭიათურაში ეკლესიას, რადგან მათის აზრით იგი ხალხში ვითომდა მონობას ქადაგებდეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ, თუ ენერგიულათ მოეკიდა კაცი, ჭიათურაში მალე აშენდება ეკლესია, რომელიც დიდი საჭიროც არი. ამას წინეთ აქ მზრუნველმა ჩაიარა და, რომ შეიტყო რომ ჭიათურაში ეკლესია არ არიო ბრძანა სამა ქალაქო სასწავლებლის შენობაში მოეწყოთ ეკლესია, რომელიც მყისვე იქმნა აღსრულებული.

იმედია, რომ ყოვლად სამღვდელო გიორგიც მიაქცევს ყურადღებას ჭიათურაში ეკლესიის აშენებას და, როგორც გვითხრეს კიდეც მიუქცევია ყურადღება მის მეუფებას.

დეკ. იოსებ წერეთელი.

ქართველობას ქართველებისაგან თვალში არა ჰქონია ფასი!

ამ წლის 5 თებერვალს შესრულდა წელიწადი დღ.დან პეტრე ეპისკოპოსის გადაცვალებისა. მოსალოდნელი იყო, რომ ამ დღეს საჯაროდ შეასრულებდენ წლის თავის წირვას და გადაიხდიდენ პანაშვიდს. თუ ჩვენ ინტელიგენტებს, რომელიც თავს ვერ მოიწონებენ თვისის მიდრეკილებითა ღვთის მსახურებისადმი, წესად აქვთ გადაიხადონ დიდის ამბით საქვეყნოდ წირვა და პანაშვიდი პატივსაცემლად ამა თუ იმ განსვენებულ საზოგადო მოღვაწისა, მით უფრო თფილისის სამღვდელოებას პატივი უნდა ეცა განსვენებულ პეტრე ეპისკოპოზისთვის, რომელიც თვისის იშვიათის სათნოიანი და სუფთა ცხოვრებისთვის და სამშობლოსადმი სიყვარულისა და არა მცირე ღვაწლისათვის, ღირსი იყო პატივისცემისა. გარდა მზურნველი არავინ გამოჩნდა. დარწმუნებული ვართ, პეტრე ეპისკოპოსი რუსი რო ყოფილიყო, მაშინ ეს არ მოხდებოდა. მაშინ ჩვენი წარჩინებული დეკანოზები ერთი მეორეს დაასწრებდენ თქმას ეგზარხოსისთვის (როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება), რომ ამა და, ამ დღეს არის წლისთავიო და მთელ სამღვდელოებას ტაძარში თავს მოუყრიდენ. განსვენებულის შესამოსლები და იმის მიერ გამოცემული წიგნები ხელთ ჩაიგდეს, და პანაშვიდის გადახდა კი დეაზარათ!

ეს მოვლენა დიდად საგულისხმიეროა, ეს შემთხვევა ბევრ რასმე ეუბნება ჩაკვირებულ ადამიანს, ეუბნება არა სასიამოვნოს, სმაწუხაროს. ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი ერი რომ ვარგოდეს, მაშინ ჩვენს ცხოვრებაში ამისთანა ფაქტებს ადგილი, არ ექნებოდა, მაგრამ, სძინავს ერს, დ სულიერნი მამანი ტკბილად განისვენებენ ჩვენს ხალხს თვითცნობიერება-შეგნება რომ ჰქონდეს, მაშინ იგი სამღვდელოებას ზემო, აღნიშნულ დაუდევრობისთვის პასუხს მოთხოვდა ტ ბევრ დიდ დეკანოზებს ტახტებიდან გადმოაბძანებდა. მაგრამ ახლა ნეტა ამათ; ფეხები მაგრად აქვთ გადგმული; ჯილდო არ აკლიათ, ფულიც ბლომათ აქვთ. რაც გინდათ უწერეთ, რამდენიც გინდათ ჰკიცხეთ, ყურსაც არ გაიბერტყენ. რა უნდა დააკლოთ? გვითქვამს და კიდევ ვიტყვით, თუ ჩვენმა ერმა ეკლესიას არ მიხედა და მოძღვრებს მუჯლუგუნები არ წაკრა (მხილება არ დაუწყო), ისე ეკლესია მოისპობა. ქართველო! აღსდექ, ნუ გძინავს, თვალ მიაპყარ ქრისტესა, გულითა მას შეუერთდი და ხელი მიჰყავ ეკლესიის განახლებასა, აღორძინებასა..

რამპოლლა.

ეფროთიანი სახლი ინგლისში.

უელსის საგრაფოში აგერ რამდენიმე დღეა, რაც ერთ სახლს სწვევიან სულები. ეს სახლი დგას ერთ პატარა სოფლის ახლოს და გარშემორტყმულია ხშირი ტყით.

საიდუმლო სტუმარნი თავზარს სცემენ მშვიდობიან მცხოვრებლებს. სახლი, რომელიც სულებმა აირჩიეს თავიანთ გამოცხადებისათვის, წარმოადგენს სასტუმროს, ანუ სამიკიტნოს, რომელშიდაც მეეტლეები ითევდენ ხოლმე ღამეს და ეხლა სრულებით დაცარიელებულია. გლეხები ისე არ გადუვლიან ნაძრახ სახლს, რომ პირჯვარი არ გამოისახონ, და უმეტეს ნაწილად გვერდს უხვევენ და ერიდებიან აქ გავლას,

სულებმა თავის არსებობა ამ სახლში განაცხადეს შემდეგი ფანტასტიური მოვლენებით.

ერთხელ როგორღაც ალიონზე სამიკიტნოს პატრონი ქალი, ქ. ნი შერდიტი, სამზარეულოში შევიდა. მის განცვიფრებას და შიშს საზღვარი აღარ ჰქონდა, როცა დაინახა, რომ ბლუდებმა და თეფშებმა ჰაერში მის გარშემო ტრიალი იწყეს. მან მოინდომა მათი დაჭერა, მაგ-

რამ ჭურჭელი ხელიდგან უსხლტებოდა. ამავე დროს სამზარეულოს ყველა კუთხიდგან მას დააცვინდა წვრილი ქვიშა, რომელიც უფრო ცხვირს და პირში ხვდებოდა. საცოდავი ქალი იძულებული შეიქნა გაქცეულიყო და თავისთვის ეშველა. მის ყვირილზე გამვლელ გამომვლელმა თავი მოიყარა და გადასწყვიტეს, რომ იგი ბოდავს; მაგრამ მოვლენები რამდენჯერმე განმეორდენ სოფლის მღვდლისა და მუნიციპალიტეტის წევრების წინაშეც. გაზეთ „Daily Nev"-ს მოჰყავს სოფლის სახელი Hauaztlney და დასძენს, რომ გარდა მღვდლისა და მის თანაშემწისა, ამ გასაოცარ მოვლენათა მოწმენი და მაყურებელნი იყვნენ კიდევ: პოლიციის ჩინოვნიკი, მისი ცოლი, მისი ცოლისდა და რამდენიმე ფოჩტის მოსამსახურენი. ამას გარდა სახლში გაისმის ფეხის ხმა კიბეზე და ზედა ოთახებში, თუმცა სახლი ცალიერია და შიგ არავინ ცხოვრობს.

იმ დროს, როც პოლიციელი დაეხარა, ლოგინ-ქვეშ შესახედავათ, ბუხარს მოსწყდა დიდი შავი ქვა, რომელიც მის მორთულობას შეადგენდა, და დაგორდა იატაკზე, და გადმოვარდნის დროს კინალამ თავში დაეცა პოლიციელს — („Wessaqez") Жур. „Ребусъ".

თარგმანი პ. ლავროვისა.

პრწანისის ომი.

I

კახეთის გმირი რჩეულის ჯარით
ქართლისკენ მშვიდათ მიბრძანდებოდა;
მტერთა დამლეწი, ლაღი, მხლებლებთან
მამაშვილურად მუსაიფობდა.
ვაკე ჭალებზე გავლისას იგი
ყაბახს მართავდა მკლავის საცდელად,-
ათამაშებდა თავის მხედრობას
და თვით უმზერდა მამად აღმზრდელად;-
და თუ ხანდახან ყაბარზე ნიშანს
მხლებლები რიგით ვერ აიღებდა,
მოხუცი მეფე ჩაერეოდა
და ყველას მჯობნი მკლა ით და თვალით
უძლურებასა არ დაიჩნევდა...
მოხუცებისას ლაღობს, ნებივრობს,
რომ აღარა ჰყავს მოსისხლე მტრები,
დაიმორჩილა ყველა ესენი
და პატივს სცემენ როგორც მოყვრები...
ცალკე გასულნი ლიხ-იმერლები
თავის სამეფოს შემოუერთა,
ჭარ-ბელაქანის დამორჩილებით
საბრძანებელი სულ გაიერთა...
არ აწუხებდა მას სხვისი მტრობა,
შინც ვერ ხედავდა განხეთქილებას;
დიდის ხნის ბრძოლით დაღლილი მეფე
ან კი ფიქრობდა ჟამთა-კეთილობას...
და ამ გრძნობებით გატაცებული
სიყვარულით მზერს გორში თვის მხლებ-
ლებს,
მეტის გრძნობებით სულში იძვრენს მათ
და საყვარელთ ყმათ ეტყვის ამ სიტყვებს:
„ჩემი მეფობის უკეთესი დრო
წაიღო მტრებთან სასტიკმა ომმა,
ვერ მოვიცალე სხვა საქმისათვის,
ძნელი ყოფილა დღე მუდამ ბრძოლა!!.
მტერთ დამთურგვნელი ამიერიდგან
შინაურ საქმეს შევსწირავ ძალას,-
ჩემი სამეფოს აღორძინება
შეადგენს ჩემს აზრს და ჩემს განძრახვას...
გარეშე მტრისგან მოსვენებული
ივერ სამეფოს მივსცემ სიმტკიცეს,
რომ იმის მეფეს და იმის გვირგვინს
სხვათ მეფეთ შორის ადგილი იქნეს...
ერთხელ ჩამქრალი მტერთა სიავით
სწავლის ლამპარი კვლავ აინთება
და დიდებული ესე სამეფო
ძველებურად კვლავ აღორძინდება;-
ჩვენი შვილი და შთამომავლობა
მოესწრებიან სასურველს ბოლოს...
შერცხვენა იმ კაცს, ზიზღი იმ ქართველს
ვინც უღალატოს თავის სამშობლოს!!.."
„ამინ", შესძახა მეფეს მხლებლებმა,
დღეგრძელი იყოს შენი სიცოცხლე,

მტერი, რა მტერი! მამად მზრუნველად
როცა გვყავს ჩვენი მეფე ერეკლე!!

II.

ქალაქი გორა ძვირფას წვეულებს
მასპინძლობს მხიარულია;
ხმა და პურობა, მრავალჟამიერ
სულ ერთმანერთში არეულია.
და იმათ მეფურს სმას და მოლხენას
თითქო ბუნებაც თანაუგრძნობდა:
ზაფხულის ღამეს გრილი ზეფირი
ნელად მიდამოს დათამაშობდა.
ცას მოჭედილსა ვარსკვლავებითა
სავსე მთოვარე მკრთალს ნათელს ჰფენდა,
მთა-ველს ტოროლა, ბულბული, შაშვი
ტკბილის გალობით დაღიღინებდა,
და განთიადიც ვერცხლის ფერს ცვარებს
მარგალიტებად მიმოაფრქვევდა,
თითქოს ულრენდა ცვარიც წვეულებს
მზის სხივზე ტურფად დაციმციმებდა.
ამ სანეტარო ლხინს და მეჯლისში
სიამოვნებდა მეფის სახლობა,-
ეტყობა ღმერთსაც უკურთხებია,
მათი ლხინი და მათი გალობა...
ბატონი მეფის სულის კვეთებას
არ აქვს საზღვარი, დამშვიდდა გული!
გაერთიანდა ქართველთ სამეფო
და რას დააკლებს სპარსი უძლური?!.
ამ დროს მოვიდა ამბავი ძნელი.
შეჩერდა ლხინი ერთბაშად დიდხანს:-
ლაშქრით წამოსვლა საქართველოზე
შემოუთვლია აღამამად ხანს.
არ მოეწონა მეფეს ამბავი
არ დასაჯერი, გულის გამგმირი
და სულ სხვა ფიქრს და სხვა საგონებელს
მიეცა მაშინ კახეთის გმირი.

III.

მეფის სასახლე სდუმს და მდუმარებს,
დარბაზი უხმო, ცალიერია;
ძილად მისულა ყველა ცხოველი,
იქნებ ლოცულობს სადმე ბერია.-
ზეცას ავედრებს ცოდვილ ქვეყანას...
მხოლოდ ლოცვაში ის ათევს ღამეს...
ცა მოჭედილი ვარსკვლავებითა
ზე დანათიდა თბილისის არეს.
და მიუწვდენელს თვალით სივრცეში
ამოეშუქა მკრთალად მთოვარეს.
მხოლოდ ის ერთი თანაუგრძნობდა
ბატონს მეფესა სულით მღელვარეს...
საერთო დუმილს და მყუდროებას
არღვევდა მხოლოდ დუდუნი მტკვრისა,-
ამ დუდუნის ხმას ყურს უგდებს მეფე
თითქოს ის იყოს ხმა მეგობრისა!!
სულით ღელვილი მყუდრო დუმილში
განიზრახვიდა მეფე ეული:
არ იქნა ვეღარც მოხუცების დროს
ვერ დავიმშვიდე ეს მტკიცე გული...
...ხნით დამაშვრალი, მუდამ მებრძოლი
ვფიქრობდი ბოლოს მოსვენებასა,
სამშვიდობო დროს ვუქადიდი ყმათ
და ჩემთან ერთად შვებას, ლხენასა;
მაგრამ დახე ბედს?!-ესეც შურს ჩემთვის!!
სპარსელთ სიავე ამხედრებულა
საქართველოზედ. ნუ თუ ივერი
მისვან ვეროდეს მოსვენებულა?!.
„არა"... შემოკრებს ქართველთ მხედ-
რობა!!
სიბერის ჟამსა ავათრთოლებ ხელს
და საბოლოვოდ დასამარცხებლად
სპარსთა სამეფოს თავს დავატეხ მეხს,
რომ მათ სიავეს და ძლივქნელობას
საშვილიშვილოდ მოეღოს ბოლო
და შემდგომსა დროს არ განიცდიდეს
სპარსეთთან ბრძოლას ჩემი სამეფო!!
ამ ფიქრში იყო ირაკლი ოდეს
ეახლა თავად გურამიშვილი,
მეფის ნათლული დიდი გიორგი
თავდადებული მამულიშვილი.
და როს იხილა იგი მდუმარედ
შემოტრიალდა და გასვლას გარეთ
ნელის ნაბიჯით დააპირებდა;
მაგრამ შეუტყო მეფემ განზრახვა,
შეაჩერა და ვით მეომართან
სპარსეთთან ომზე იქ თათფირებდა.

მეფე.

იცი გიორგი რომ სპარსთა მეფე
საქართველოზედ მოდის საომრად,-

დიდი ლაშკარი შეუკრებია,
მოეშურება გულდაგულ ჩქარად?!

გიორგი.

პირველად ესმის მეფევ! ეგ ჩემს ყურს,
მე ეგ ამბავი თითქოს არ მჯერა;-
წინეთ ამბობდენ თქვენს მეგობრობას
და ეხლა რისთვის გადაგემტერა?

მეფე.

მეც ძლიერ მიკვირს.-ელჩმა მიამბო
რუსთან კავშირი მეტად სწყენია

გიორგი.

თვით შაჰის ელჩმა?

მეფე.

დიახ შაჰისამ.
თვით ვინახულე პირისპირ იგი
და მოვუსმინე გაოცებულმა.

გიორგი.

ვითომ რათა სწყინს რუსთან კავშირი?

მეფე.

არ ვიცი. ვფიქრობ. ვერ გამიგია.
ნუ თუ რუსეთთან დამეგობრება
მისთვის იქნება მტრობა და ჭირი?!

გიორგი.

სწორედ მას ფიქრობს და არც შემ-
ცდარა;
ალა-მამად-ხან გონიერია,—
შენის თანხმობით მას მიაწვება
რუსი და შაჰიც მეცნიერია,
რომ არ დაინდობს რუსი არავის...
მე ვეჭობ. რომ თქვენც მეფევ ძლიერო,
რომ გაგიტანოს რუსთ მეფობამ!!.

მეფე.

ეჭ ჩემთვის რალა საეჭველია,
რომ მეზობელი და ერთ მორწმუნე
ძმობას გამიწევს და მეგობრობას!!.

გიორგი.

. . . . . .
ნამდვილ არ იშლის შაჰ-წამოსვლას

მეფე.

თუ არ დავიჭერ რუსეთთან კავშირს
მაშინ არ მოდის და სადასტუროდ
მძევალს თხოვილობს ალა-მამად-ხან.

გიორგი.

მერე რას ფიქრობ ჩემო ხელმწიფევ?

მეფე.

რალა ვიფიქრო? ნუთუ ხოჯა შაჰს
მძევალს მიართმევს ივერია მეფე?!—
ამ ჩემს განზრახვას აღემატება,
როგორ დამდაბლდეს ასე ერეკლე?!

გიორგი.

კი მაგრამ იქნებ ისე სჯობია,
რომ მეგობრული მივსცეთ პასუხი
და ავაშოროთ მით ჩვენს სამეფოს
იმათი რისხვა და მათი სუსხი...
ლაშქარი ვიცი დიდი ექნება ..

მეფე.

რაც უნდა ჰყავდეს, თავს არ მოვიხრი —
ოთხმოცი ათას შევჰყრი მეც ლაშქარს
დი ვაგრძნობინებ ალა მამად-ხანს
თუ რა ძალა აქვს ქართველების მკლავს!!
თავისას ვიცი მაინც არ მოშლის—
მათგან ერეკლე გამოცდილია
ლიხ-იმერეთი შემოვაერთე
ჭორ-ბილაქანიც შეფიცულია
ჩემს ერთგულებას და მორჩილებას..
შეერთებული ქართველთა ძალა
დაამხობს დაღმა სპარსელთ ურჩობას
და შემდეგ უფრო ჩქარი ნაბიჯით
იწყებს ივერი აღორძინებას.
ამ მოსაზრებით გადაჭრილი მაქვს
სიკვდილ-სიცოცხლის გაემართო ომი,
ივერთ მხედრობა მივუსიო მათ

როგორც ნადირსა მშიერი ლომი
და საბოლოოდ მოვრჩე მათ საქმეს...

გიორგი.

კი მაგრამ უფრო ძნელად რომ დარჩეს
მძლავრ მტერთან ურჩი ფეხის გადადგმა?

მეფე.

რაც იქნეს, იქნეს!!.

გიორგი.

მაშ კარგი, მაგრამ ჰკითხე დიდებულთ,
ვნახოთ ისინი თუ რას იტყვიან!!.

IV

მეფეს არ სძინავს. მის საგონებელს
შეადგენს შაჰის პასუხის გება,
როგორის ხერხით და საშვალებით
დასაჯოს სპარსთა დიდი ურჩება.
არც დედოფალი და არც სასახლე
არ თანაუგრძნობს მეფის განზრახვას,
მაგრამ არ იშლის ზვიადი მეფე,—
ვერ იმორჩილებს თავის გულისთქმას...
და სათათბიროთ ქართველთ დიდებულთ
იბარებს, რომ სცნოს თუ რას იტყვიან,
ხელს აიღებენ სპარსეთთან ომზე
თუ თავის ბატონს ეთანხმებიან?!
შემოკრბენ ერთად სამეფო გვარის
რჩეული, ბრძენი შთამომავლობა
და მათთან ერთად მეხრან ბატონი,
ომში გაწვრთილნი სხვაც დიდ კაცობა.
რა მოისმინეს მეფის განზრახვა
და გვირგვინოსნის სიტყვა ლიტონი,
მაშინ წარსდგა წინ იმ კრებულიდგან
დიდი ივანე მუხრან ბატონი
და მოახსენა ლაღს, დიდგულს მეფეს:
-ქართველი ქართულს ხრმალს არ შეარ-
ცხვენს,
არ მოუხრია მტრის წინ მას ქედი...
ვინ იცის ბედი მას რას შეამთხვევს!
თუმც თქვენი მეფევ! გვაქვს ჩვენ იმედი.—
მაგრამ მტრის ძალას რით გაუმკლავდეს
თუმც გმირი, მაგრამ პატარა ერი;
ბრძოლით დაღლილი დღესაც შეებმის
აღა-მამად-ხანს შენი ერი?!
საიბედიოთ ფეხს ნუ გადავდგამთ,
ვიანგარიშოთ ჯერ ჩვენი ძალა
და არ მოვუშვათ ჩვენს წასალეკად
აზვირთებული სპარსეთის ტალღა.
-ეგ რჩევა მეტად გონიერია
ბრძანა ბატონმა, და ახლა ჩემსას,
თუ როგორ დავხვდეთ მოტოვებულს
მტერს,
ვიტყვი გულის თქმას და მოსაზრებას:
შეერთებული საქართველოდგან
შევკრებ მე ლაშქარს ოთხმოცი ათასს,
რუსის ხელმწიფეც გამომიგზავნის
ორ ათას მხედარს და ექვს ზარბაზანს.
ასეთის ჯარით აღა-მამად-ხანს
შემოვიტყუებ ნელად სოლალურს
და დავანახვებ ჩემი მხედრობა
როგორ ერჩის მტერს, რა ძლიერად ქუხს!!
მე მსურს ამაყი აღა-მამად-ხან
ცოცხლად ჩავიგდო ვერაგი ხელში
სახე ვაჩვენო, რომ მის მემკვიდრე
ომს ვერ ბედავდეს ჩვენთან მის დღეში
და მოისვენოს ერთის მხრით მაინც
მრავალ-ტანჯულმა ჩემმა სამეფომ...
-ეგ კარგი მაგრამ იმოდენ ლაშქარს
რომ შემოიკრებ უეჭველად გრწამს,
რომ განსაცდელში არ ჩავარდეთ ჩვენ
საბედისწერო, მწარე ომის ჟამს?!
— უეჭველია და შიკრიკებმაც
დამარწმუნეს მე მასში ყოვლის მხრით,-
მეფე სოლომონ მხნე ჯარს მოუძღვის
აქ მოსაყვანად ლიხ-იმერეთით!!
—ზარბაზნები გვაქვს რომ მისის ცეცხლით
მოსულ სპარსელებს ვუთენოთ ჭირი?
—ოცი მზათა მაქვს და მათ მომართავს
რიგზე გიორგი გურამიშვილი.
მაშ კარგი მეფევ, შევუდგეთ საქმეს,
ნუ დავაყოვნებთ ამისთვის დრო-ჟამს;
ან სულ გავსწყდებით, ან ცოცხლად შეკ-
რულს
თქვენ ჩაგაბარებთ აღა მამად-ხანს!!.
„ამინ“ იყივლეს... ყველას სახეზე
ომის წყურვილმა დაიწყო ელვა ..

„ძლევა ჩვენს მეფეს“ და ამის თქმაზე თავის სამზადისს შეუდგა ყველა.

რ. ხუნდაძე.

(შემდეგი იქნება).

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რედაქტორო!

გაზეთ ეშმაკის მათრახის 8 № ში. ჰიათურის ეშმაკის სააგენტოს მწევრს ბ. ვიცე ზუბრს“ დაუწერია რომ ვითომ თავისთავათ გაკეთებული ჩემი სახლების დაწვის ზარალის 15 ათასი მანეთი ამილია და ისევ ხალხს ვუბრუნებ. ეს ეშმაკის სააგენტოს მწევრს სწორეთ ეშმაკურათ გაუგია, თორემ ასე-კი არ გახლავთ ბ. „ვიცეზუბრო“ ,აი ასე გახლავსთ.

მე როცა კონსტანტინე პოლში გავიგე ჩემი სახლების დაწვა, იმ დღესვე ქ. ქუთაისის გუბერნატორს თხოვნა მივართვი, რომ ჩემი სახლების დაწვის ზარალს ხალხს ნურაფერს გადაახდევინებთ-თქო, და ნურც დამნაშავეს მოსთხოვთ თქო, რადგან მე კარგათ ვიცი ხალხი საერთოთ ჩემი სახლების დაწვას არ მოისურვებდათქო, მხოლოდ ეს ისევ იმ ორიოდე მაწანწალასაგან იქნება, ვინც პირადი მისი სარგებლობისთვის, სრულიად უდანაშაულოდ მე სასიკვდილოთ გამოიმეტათქო; ამისთვის მე ვთხოვე გუბერნატორს მოგხვმარებოდა მე და გლეხებს, და საგლეხო ბანკის საშვალებით ჩემი უძრავი მამულები საღავათიან ფასებსა და პირობებში შეეყიდნათ გლეხებს, რომ მეც მითი ცხოვრება შემძლებოდა. მაგრამ ეს ჩემი თხოვნა უყურადღებოთ დარჩა და ისევ უკან დამიბრუნეს, რომელსაც ამასთანავე თქვენს რედაქციაში წარმოვადგენ.

ის გუბერნატრის განკარგულებით აკრეფილი 15 ათასი მანეთი, როგორც შტრაფათ აკრეფილი ფული, ისე შერიცხეს ხაზინაში, რომელიც დღესაც იქ გახლავსთ.

მე როცა ნავხე რომ გლეხებს ჩემი მამულის შეყიდვა არ შეუძლიათ ასეთ უფულობის დროს, და ის ფულიც ტყუილათ იკარგება, არ დავმალავ ყველგან ვიმაცადინე და ვმაცადინობ, რომ მამცენ ის ფული, და თუ გამართლდა თქვენი ოცნება ბ.ვიცე ზუბრო „დარწმუნდით რასაც ავიღებ, იქიდან ჩემ თავსაც ვარგებ, და ჩვენ ხალხსაც, ეს ჩვეულება რომ ყოველთვის მქონია და მაქვს ამაზე ეშმაკები არან, და ანგელოზები კი დამემოწმებიან. თქვენ კი გირჩევთ ბ. ვიცე „ზუბრო,“ რომ, რაც თქვენ ნამდვილი ჭეშმარიტება არ იცოდეთ, უბრალოდ ცილს ნურავის დასწამებთ, და ნურც უცხო სახელს უწოდებთ მაგალითათ, როგორც ჩემთვის გიწოდებიათ ვიცეზუბრი“ და აი რადგან არ ვიცი, ვინ ბრძანდებით, მეც ამ უცხო სახელის წოდებით გესაუბრებით; შეიძლება შეუფერებელი რამეც იყოს,მაგრამ მე ქართულის მეტი სხვა ენები არ მესმის, და ასეთი სიტყვა კი პატიოსან ქართველებში არსა გამიგონია, და თუ შეცდომა რამეა, ისევ ბრალი თქვენზე რჩება

ვლ. ჯ. წერეთელი.

რედაქტორი, მღვდელი **სიმონ ფეიდლიძე.**
გამომცემელი **იოსებ ლეჟავა.**

Типографія Кутаисскаго религіоно-просвѣтительнаго „братства“ Тифлисская, домъ Кирищева